11888-10-2-2-201911041607

N 10-2/11888
04/11/2019

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ როსტომ სესიაშვილს

ასლი: საქართველოს მთავრობას

ასლი: კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულს
ირაკლი ქადაგიშვილს

რეკომენდაცია

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ თივში მცხოვრები არასრულწლოვნებისთვის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობის შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად.

ბატონო როსტომ,

გაცნობებთ, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა განხორციელებული მონიტორინგისა და საქმისწარმოების საფუძველზე[1] შეისწავლა ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ თივში მცხოვრები მცირეწლოვნებისთვის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობის საკითხი. მოკვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სოფელში მცხოვრები ბავშვებისთვის არ არის ხელმისაწვდომი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით“ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდა და განათლება.

სოფელ თივში არ ფუნქციონირებს საბავშვო ბაგა-ბაღი. სოფელში ცხოვრობს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მოსახლეობა, რომელთა მოთხოვნას წარმოადგენს, რომ სოფელში გაიხსნას ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება, რათა ბავშვებმა

[1] საქმე N 2697/19.

ადრეული ასაკიდანვე შეისწავლონ სახელმწიფო ენა და მიიღონ შესაბამისი სასწავლო-სააღმზრდელო მომსახურება.

საქმეზე განხორციელებული მოკვლევის ფარგლებში, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 12 ივლისის №04/3697 და 29 ოქტომბრის № 04/5688 წერილებით გვეცნობა, სოფელ თივში სკოლამდელი ასაკის 20-25 ბავშვი ცხოვრობს; მუნიციპალიტეტში 2019-2020 წლებში, ბაღების მშენებლობა არ იგეგმება. ასევე, როგორც ცნობილია, სოფელ თივში ფუნქციონირებს სკოლამდელი განათლების მოსამზადებელი ალტერნატიული სასწავლო ცენტრი.

ყვარლის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში ვიზიტის ფარგლებში, სახალხო დამცველის რწმუნებულებს ასევე ეცნობათ, რომ სოფელ თივის საჯარო სკოლის ბაზაზე გახსნილ სკოლამდელი აღზრდის ცენტრში 12 ბავშვი ირიცხება. ცენტრის მომსახურებით სარგებლობენ სასკოლო მზაობის პროგრამის შესწავლის მსურველი ბავშვები, ძირითადად 5-6 ასაკის. დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს ბავშვებს კვებითა და საძინებლით. სასწავლო პროცესი, დილის 10:00 საათიდან დღის 14:00 საათამდე მიმდინარეობს. ჩვენთვის არსებული ინფორმაციით, დაწესებულება ეფუძნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს, თუმცა სოფელ თივის სტანდარტული საბავშვო ბაღით უზრუნველყოფა ვერ ხდება.

სამართლებრივი რეგულირება:

განათლების მიღების უფლება გარანტირებულია ყველასთვის საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლით. ამავე მუხლის მე-2 პუნქტით კი დადგენილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ მე-4 მუხლით ადგენს წევრი სახელმწიფოების ვალდებულებას, მიმართონ ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა ზომებს, მათ ხელთ არსებული რესურსების მაქსიმალურ ფარგლებში, რათა უზრუნველყონ კონვენციით აღიარებული უფლებების რეალიზება. 28-ე მუხლით კი ადგენს წევრი სახელმწიფოების ვალდებულებას უზრუნველყონ ბავშვებისთვის განათლების ხელმისაწვდომობა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებების კომიტეტის (CRC) 2017 წლის „მეოთხე პერიოდული ანგარიშზე შემაჯამებელი მიმოხილვის“ 36-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით ხაზგასმულია განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულება. ხოლო ამავე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილია ყველა საჭირო ღონისძიების განხორციელების ვალდებულება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის იმპლემენტაციისთვის და სათანადო რესურსების მოძიება ადრეული განათლების განვითარების ხელშესაწყობად.

კომიტეტის 2008 წლის „სახელმწიფოს მოხსენებების შესახებ შემაჯამებელი მიმოხილვის“ 57-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით სახელმწიფოს ევალება განათლების სექტორისთვის გამოყოფილი ფინანსური სახსრების გაზრდა. ხოლო ამავე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით დადგენილია სახელმწიფოს ვალდებულება, გაატაროს ყველა ღონისძიება ბავშვების სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში აღსაზრდელთა ჩარიცხვის ხელშესაწყობად.

ბავშვის უფლებების კომიტეტის 2003 წლის „სახელმწიფოს მოხსენებების შესახებ შემაჯამებელი მიმოხილვის“ 57-ე პუნქტი სახელმწიფოს უდგენს ვალდებულებას, განახორციელოს ყველა სათანადო ღონისძიება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ყველა ბავშვისთვის განათლების ხელმისაწვდომობა, როგორც ეს ბავშვის უფლებების კონვენციის 28-ე და 29-ე მუხლებით არის გარანტირებული.

საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ პირველ მუხლში ხაზს უსვამს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობას. ამავე კანონის მე-4 მუხლით დადგენილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პრინციპები, ხოლო მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილია, რომ სკოლამდელი აღზრდა და განათლება არის საყოველთაო და ხელმისაწვდომი შესაბამისი ასაკის ყველა ბავშვისთვის. ამასთან, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად მუნიციპალიტეტი ვალდებულია, დანერგოს და უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ბავშვებისთვის მიწოდება საქართველოს კანონმდებლობის (მათ შორის ამ კანონისა და საქართველოს ნორმატიული აქტების) შესაბამისად. მე-4 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში აღსაზრდელები უზრუნველყოფილი არიან უფასო კვებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილია მუნიციპალიტეტის ვალდებულება, უზრუნველყოს სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობა. ამავე მუხლის 1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილია თანაბრად ხელმისაწვდომი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების უზრუნველყოფის, ხოლო „გ“ პუნქტში - აღსაზრდელთა უფლებების დაცვისა და პატივისცემის ვალდებულება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ვალდებულება, შექმნას ძლიერი და მდგრადი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ბავშვთა სათანადო განვითარება და სკოლისთვის მომზადება. მე-10 მუხლის მე-2 „გ“ ქვეპუნქტით დადგენილია, რომ მუნიციპალიტეტმა უნდა შექმნას სათანადო პირობები, რათა მოხდეს სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი მომსახურების დანერგვა.

დასკვნა:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობა თითოეული ბავშვისთვის, მათი რაოდენობის მიუხედავად, სოფელ თივში მცხოვრები ბავშვები ვერ სარგებლობენ აღნიშნული უფლებით.

შედეგად, ბავშვებს ეზღუდებათ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიღების შესაძლებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტის მხრიდან გატარდეს სათანადო ღონისძიებები, რათა სოფელ თივის აღსაზრდელებისთვის უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული უფლების რეალიზება, კერძოდ, სრულფასოვანი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიღება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

აღნიშნულის საფუძველზე, საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად მოგმართავთ რეკომენდაციით, დროულად გამოიყოს საბიუჯეტო სახსრები სოფელ თივის სკოლამდელი განათლების ცენტრის სათანადო ინვენტარითა და პერსონალით უზრუნველყოფის მიზნით, რათა შესაძლებელი იყოს სოფელ თივში მცხოვრები ბავშვებისთვის საყოველთაო, უფასო და სრულფასოვანი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიღების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული უფლების რეალიზება.

გთხოვთ, გატარებული ღონისძიებების შესახებ მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

.